წიგნი III

ბავშვთა უფლებები

# რა არის საუკეთესო ინტერესების შეფასება?



# მოგესალმებით!

**ეს ისტორია ოთხ შენნაირ ახალგაზრდას ეხება.**

ისინი უსაფრთხოდ ჩამოვიდნენ ევროპაში ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ. ზოგი ახალგაზრდა მარტო ჩამოვიდა. ზოგი ოჯახთან ერთად ჩამოვიდა. მათ ბევრი კითხვა აქვთ და ის ადამიანები ეხმარებიან, რომლებიც იმ ადგილას მუშაობენ, სადაც ისინი ცხოვრობენ.

**ეს ისტორია შენც დაგეხმარება!**

**გაიგებ:**

- რას **ნიშნავს საუკეთესო ინტერესების** შეფასება
- რას უნდა ელოდო
- რატომაა მნიშვნელოვანი შენი მონაწილეობა და ოფიცრებთან თანამშრომლობა
- ვის შეუძლია შენი დახმარება
- რა უფლებები გაქვს

**შეგიძლია წაიკითხო ეს ისტორია:**

- მარტო
- მეგობართან ერთად
- იმ ადამიანთან ერთად, ვინც აქ მუშაობს

**არ აჩქარდე. პრობლემა არ იქნება, თუ შეჩერდები და მოგვიანებით გააგრძელებ.**

თუ რაიმე გაუგებარია, **სთხოვე ვინმეს აგიხსნას**.
შენი მეურვე, სოციალური მუშაკი ან იურისტი შეძლებენ შენს დახმარებას.

**და ბოლოს, შენ იხილავ:**

- გვერდს, სადაც მოცემულია ადგილობრივი ინფორმაცია
- სახალისო გამოკითხვა
- ცარიელი ადგილი, სადაც შეძლებ შენი კითხვების ჩაწერას და საჭირო საკონტაქტო პირების დამატებას

**18 წლამდე ასაკის** პირებს, რომლებიც მარტო ჩამოდიან, უნიშნავენ მეურვეს. ზოგიერთ ქვეყანაში მეურვეს „წარმომადგენელს“ უწოდებენ.

ასევე ზოგიერთ ქვეყანაში, თავშესაფრის მოთხოვნას **„საერთაშორისო დაცვის მოთხოვნას“** უწოდებენ.

და ბოლოს, გაითვალისწინე, რომ მიმღებ ცენტრებში, სადაც რჩები, მოწოდებული ყველა სერვისი უფასოა. თუ პერსონალის წევრი თანხას მოგთხოვს, გაესაუბრე ოფიცერს, რომელსაც ენდობი ან შენს მეურვეს.

# გაიცანი ამ ისტორიის
გმირები

## მუჰამედი

17 წლის ვარ. უმეტესად ბედნიერი ვარ. მსიამოვნებს მეგობრების და ოჯახის წევრების დახმარება, როდესაც შემიძლია.
მარტო ჩამოვედი რამდენიმე კვირის წინ და ბაბუას ვეძებ.
მსურს მუშაობის დაწყება.





## აჰმედი

15 წლის ვარ. ჩემს უფროს დასთან, ჟასმინთან ერთად ჩამოვედი, რომელიც ზრუნავს ჩემზე მას შემდეგ, რაც დედა გარდაგვეცვალა. მიყვარს გართობა და ახალი მეგობრების შეძენა. ძალიან მინდა სკოლაში რაც შეიძლება მალე დავბრუნდე. ამჟამად აქ ადგილობრივ ენას ვსწავლობ.



## ჟასმინი

24 წლის ვარ. ჩემს ძმასთან, აჰმედთან ერთად ჩამოვედი, რომელზეც ვზრუნავ, როგორც შემიძლია. ახლახან ჩამოვედით და ვცდილობთ ჩვენს ბიძასთან მოხვედრას, რომელიც გარკვეული პერიოდია ევროპაში ცხოვრობს. მიყვარს სპორტი და კარგად ვთამაშობ ფეხბურთს.

## ადამი



9 წლის ვარ. აქ მარტო ვარ. ამ ეტაპზე არ მსურს საუბარი. აქ ჩამოსვლამდე ბევრი ცუდი რამ გადამხდა თავს. გარკვეული დრო მჭირდება იმისათვის, რომ ხელახლა დავიწყო საუბარი. მაგრამ ჭკვიანი ვარ და ყველაფერი მესმის. კარგი მსმენელი ვარ და სკოლაში სიარული მინდა. მომწონს ყველა ახალი მეგობარი, რომელიც გავიჩინე.



## ქ-ნი ინესი

მეურვე ვარ და ამ მიმღებ ცენტრში ვმუშაობ. ვცდილობ დავეხმარო თავშესაფრის მაძიებელ ყველა ბავშვს და ახალგაზრდას, რამდენადაც შემიძლია. მიყვარს კერძების მომზადება და ბედნიერი ვარ, როდესაც ყველა დაკავებული და აქტიურია. ვარჯიში გვეხმარება ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის შენარჩუნებაში.



## ბ-ნი ფრედი

მე იურიდიული კონსულტანტი ვარ, ერთგვარი იურისტი. აქ კარგად გადამზადებულ კოლეგებთან ერთად ვმუშაობ. თავშესაფრის მაძიებლებს ვაწვდი ინფორმაციას და ვეხმარები სამართლებრივ საკითხებსა და თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადებში. მიყვარს ფერადი მაისურების ტარება, რომლებზეც გარკვეული მესიჯებია დატანილი.

დიდ მადლობას ვუხდი ყველა იმ ახალგაზრდა თავშესაფრის მაძიებელს, რომელმაც წაიკითხა ეს ისტორია გამოქვეყნებამდე და დამეხმარა მის დასრულებაში.

ისინი ასევე დამეხმარნენ მთავარი გმირების სახელების შერჩევაში.

ასევე მადლობას ვუხდი შესაბამის ორგანოებს მალტაში და ნიდერლანდებში, რომლებიც დამეხმარნენ თინეიჯერებთან დისკუსიების წარმართვაში.


ქ-ნო ინეს...
...გაქვთ დრო, რომ ამიხსნათ რას ნიშნავს „ბავშვის საუკეთესო ინტერესები“?
რა თქმა უნდა! გახსოვდეთ, რომ ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის პირი.
დიახ!
ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება ნიშნავს საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღებას და საუკეთესო გამოსავლის პოვნას იმისათვის, რომ ბავშვი დაცული, ბედნიერი და ჯანმრთელი იყოს.
ბავშვებზე მზრუნველი ზრდასრულები, მაგალითად მშობლები ან მეურვე, პირველ ადგილზე თქვენს ინტერესებს უნდა აყენებდეს. ყველა ბავშვი იმსახურებს უსაფრთხო და ჯანსაღ ცხოვრებას, საკვებს, სკოლას, გართობას და მოსიყვარულე ოჯახს.
ადამიანები, რომლებიც თქვენზე ზრუნავენ, მათ შორის შესაბამისი ორგანოები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს თქვენთვის, ვალდებულნი არიან გაიგონ თქვენი იმედები და შიშები.


თქვენნაირი ახალგაზრდები, რომლებიც ევროპაში თავშესაფარს ეძებენ, ხშირად მარტო ჩამოდიან და დახმარებას საჭიროებენ.
მეურვე არ ეცდება თქვენი ოჯახის წევრების ჩანაცვლებას, ის დაგეხმარებათ, სანამ მარტო ხართ. ჩვენ უზრუნველვყოფთ თქვენი საუკეთესო ინტერესების დაცვას იქამდე, სანამ დახმარება დაგჭირდებათ.
... მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი ოჯახთან ერთად ჩამოდის?
მნიშვნელოვანია თითოეული ბავშვის ინტერესები. ზრდასრულმა, რომელიც ზრუნავს ბავშვზე, უნდა გაითვალისწინოს, თუ რა არის მისთვის საუკეთესო. მაგრამ ეს ყოველთვის მარტივი არაა. ზოგჯერ მზრუნველებს შეიძლება უჭირდეთ. აქ მყოფი სოციალური მუშაკები შეძლებენ მათთვის რჩევების მიცემას.
ასევე შეგიძლიათ გაესაუბროთ სოციალურ მუშაკს, თუ თქვენი ოჯახი გადატვირთულია ან ისე არ გივლიან, როგორც უნდა გივლიდნენ. ყველა ეს დიალოგი კონფიდენციალურია!


შეგიძლიათ თქვენი ყველა ფიქრი და გრძნობა გაუზიაროთ მეურვეს.
ასევე... შესაბამის ორგანოებს შეიძლება მოუწიოთ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც თქვენს ცხოვრებაზე მოახდენს გავლენას. შესაბამისად, მეურვე დაგეხმარებათ მათთან კომუნიკაციაში, რათა მათ იცოდნენ თქვენი მოსაზრებები.
შეგიძლიათ მომიყვანოთ იმ გადაწყვეტილების მაგალითი, რომლის მიღებაც მათ მოუწევთ?
რა თქმა უნდა. გადაწყვეტილებები შეიძლება ეხებოდეს სამედიცინო მომსახურებას, რომელიც გჭირდებათ, ადგილს, სადაც უნდა იცხოვროთ და პირს, ვისთან ერთადაც უნდა იცხოვროთ.
მაგრამ მე ვფიქრობ, რომ საკმარისად დიდი ვარ გადაწყვეტილებების თავად მისაღებად! მსურს დავბრუნდე ბაბუასთან, რომელიც მგზავრობისას დავკარგე.
მესმის. როგორც ხედავთ, მეურვეები გისმენენ.


ისინი სერიოზულად უყურებენ თქვენს მოსაზრებებს და ეხმარებიან შესაბამის ორგანოებს თქვენი პირადი სიტუაციის გააზრებაში და იმის გადაწყვეტაში, თუ რა არის თქვენთვის საუკეთესო.
ზუსტად როგორ აკეთებენ ამას?
გადამზადებული ოფიცრები დაგისვამენ შეკითხვებს, რათა მაქსიმალურად ბევრი რამ გაიგონ თქვენი სიტუაციის შესახებ.
თქვენი პასუხები დაეხმარება მათ იმის გადაწყვეტაში, თუ რა არის თქვენთვის საუკეთესო. აჰმედ, თქვენს შემთხვევაში, ორგანოები თავდაპირველად შეამოწმებენ იმას, ბაბუათქვენი...
... ჯანმრთელი და საკმარისად ძლიერია იმისათვის, რომ თქვენზე იზრუნოს...
... უსაფრთხო ადგილას ცხოვრობს...
... შეუძლია უზრუნველგყოთ საკვებით, ტანსაცმლითა და განათლებით.
... და წარსულში კარგად გეპყრობოდათ.


მართალია... ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია!
დიახ... ეს მოგვიანებით პრობლემებს აგაცილებთ თავიდან. ზოგჯერ ბავშვის სურვილები შესაძლოა მათ საუკეთესო ინტერესებს არ ემთხვეოდეს.
მესმის... ამ ორგანოებს სურთ სწორი გადაწყვეტილება მიიღონ...
ზუსტად!
ახლა მესმის რატომ დამისვეს ამდენი შეკითხვა ბაბუაჩემის შესახებ...
დიახ, კონკრეტული კითხვების დასმას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად, საუკეთესო ინტერესების შეფასება ეწოდება.


გააზიარეთ მაქსიმალურად ბევრი ინფორმაცია.
გახსოვდეთ, რომ ეს შეფასება შეიძლება სხვადასხვა დროს ჩატარდეს, ერთზე მეტ შეხვედრაზე და სხვადასხვა მიზნით. თქვენს შემთხვევაში, ამ მიზანს თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების გაერთიანება წარმოადგენს, რასაც ოჯახის გაერთიანება ეწოდება ...
... ეს არის ერთმანეთისგან განცალკევებული ოჯახის წევრების გაერთიანების პროცესი. შეგიძლიათ სხვა მაგალითი გაიხსენოთ?
... როდესაც ბავშვი ცხოვრობს ისეთ ადგილას, რომელიც უსაფრთხო არაა.
ზუსტად!
რა იგულისხმება ტერმინში „არ არის უსაფრთხო“?
სამწუხაროდ, ყველა ბავშვი უსაფრთხოდ არაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი მარტო ჩამოდიან.


ზოგმა ადამიანმა შეიძლება თავი კეთილად მოგაჩვენოთ და შემდეგ ცუდად მოიქცნენ ან ეცადონ ბოროტად ისარგებლონ თქვენი მარტოობით.
ზოგჯერ ოჯახის წევრებიც კი შეიძლება ცუდად გექცეოდნენ.
მნიშვნელოვანია გაუზიაროთ ეს დეტალები ოფიცრებს, რათა მათ შეძლონ თქვენი დახმარება.
ოფიცერი, რომელმაც კითხვები დამისვა, ძალიან კეთილი იყო...
დიახ, ხშირად ეს პირები სოციალური მუშაკები ან ბავშვის ფსიქოლოგები არიან.
ეს საინტერესო და საჭირო იყო. დიდი მადლობა!
კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! არასოდეს შეწყვიტოთ კითხვების დასმა!

# მნიშვნელოვანი ინფორმაცია

**ამ ქვეყანაში ...**

ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ჩემი საცხოვრებლად უსაფრთხო გარემოთი უზრუნველყოფაზე, ანუ მიმღებ ცენტრში დაბინავებაზე, ეწოდება: ____________________________
______________________________________________________________________________

**თუ მსურს დამატებითი ინფორმაციის მიღება შემდეგ საკითხებზე:**

- ზოგადი შეღავათები, რომლებსაც ვიღებ, მაგალითად ტანსაცმელი ან ჰიგიენური პროდუქტები, შემიძლია დავუკავშირდე ან გავხსნა:
  ______________________________________________________________________
- იმისათვის, რომ გავიგო როგორ მოვიქცე იმ შემთხვევაში, თუ თავს ცუდად ვიგრძნობ, შემიძლია დავუკავშირდე: ______________________________________
  ______________________________________________________________________
- იმისათვის, რომ გავიგო როგორ ვიარო სკოლაში, ავითვისო უნარები ან ვისწავლო ადგილობრივი ენა, შემიძლია დავუკავშირდე: ______________________________
  ______________________________________________________________________
  ______________________________________________________________________

ჩემს **თავშესაფრის მოთხოვნის** განაცხადზე მომუშავე პასუხისმგებელი ორგანოა: ________
______________________________________________________________________________

My guardian's name is: ______________________________________________________
______________________________________________________________________________

თუ მსურს მეტი ინფორმაციის მიღება საუკეთესო **ინტერესების შეფასებასთან დაკავშირებით**, ასევე იმაზე, თუ როდის ჩატარდება ის და რა ელის ჩემ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, შემიძლია გავესაუბრო ჩემს მეურვეს ან გავხსნა: ____________________________
______________________________________________________________________________
______________________________________________________________________________

# მნიშვნელოვანი ინფორმაცია

**ამ ქვეყანაში ...**

ასევე შემიძლია დავუკავშირდე იურიდიულ კონსულტანტს, რომელიც უფასოდ მომაწვდის ინფორმაციას თავშესაფრის მიღების პროცედურის და მსგავსი თემების შესახებ. ამისათვის შემიძლია დავუკავშირდე:________________________________________

____________________________________________________________

თუ აქ მომუშავე რომელიმე პირი, მაგალითად ოფიცერი, იურიდიული კონსულტანტი, სოციალური მუშაკი ან ჩემი მეურვე ცუდად მეპყრობა, შემიძლია შევიტანო საჩივარი და დავუკავშირდე: ____________________________________________________

____________________________________________________________

____________________________________________________________

გადაუდებელ სიტუაციაში შემიძლია დავუკავშირდე სასწრაფო დახმარებას ნომერზე:

____________________________________________________________

ან პოლიციას ნომერზე: ____________________________________________

სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია: ________________________________________

____________________________________________________________

____________________________________________________________

____________________________________________________________

____________________________________________________________

# გამოკითხვა

**ვამოწმებ ჩემს ცოდნას იმაზე, თუ რა შევიტყვე საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესის შესახებ.**

☑ მონიშნეთ სწორი პასუხები.

**1** ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება ნიშნავს...

- ○ a. ორგანოები გვისმენენ მე და ჩემს მეურვეს, რათა გაიგონ ჩემი გრძნობები, საჭიროებები და შეხედულებები და შეძლონ ჩემთვის საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღება.
- ○ b. არავინ მომისმენს.

---

**2** იმისათვის, რომ განსაზღვრონ ჩემი საჭიროებები და ის, თუ რა არის ჩემთვის საუკეთესო კონკრეტულ სიტუაციაში, ორგანოები დამისვამენ კითხვებს საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესში.

- ○ a. სწორი
- ○ b. მცდარი

---

**3** რატომ ატარებენ ორგანოები საუკეთესო ინტერესების შეფასებას?

- ○ a. რათა მიიღონ ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ის, თუ სად უნდა ვიცხოვრო და ვისთან ერთად.
- ○ b. იმიტომ, რომ მოსწონთ ლაპარაკი.

---

**4** ბავშვის საუკეთესო ინტერესები რელევანტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვები მშობლების გარეშე ჩამოდიან.

- ○ a. სწორი
- ○ b. მცდარი

---

**5** ოფიცრები, რომლებიც მუშაობენ იმ ადგილას, სადაც ვცხოვრობ რეგულარულად გვკითხავენ მე და ჩემს მეურვეს რაიმე ახალი საჭიროება ხომ არ მაქვს.

- ○ a. სწორი
- ○ b. მცდარი

## გამოკითხვაზე პასუხები

შეკითხვა 1: a; შეკითხვა 2: a; შეკითხვა 3: b; შეკითხვა 4: b; შეკითხვა 5: a

# შენიშვნები

# შენიშვნები

GEORGIAN

ეს ბუკლეტი მომზადებულია მხოლოდ ინფორმაციის მოსაწოდებლად. ის არ ქმნის უფლებებს ან მოვალეობებს. ამ მასალის ძირითადი ნაწილი მოწოდებულია EUAA-ს მიერ და ამ ბუკლეტის რეპროდუცირება ან შეცვლა ნებადართულია მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის EUAA-ს მიერ. EUAA არ იღებს პასუხისმგებლობას ამ ბუკლეტში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ან სხვა პასუხისმგებელი მესამე მხარის მიერ შეტანილი ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსზე, სისრულეზე, კანონიერებასა თუ სანდოობაზე. არც EUAA და არც EUAA-ს სახელით მოქმედი სხვა პირი არ არის პასუხისმგებელი იმაზე, თუ რა გზით იქნება გამოყენებული ამ ბუკლეტში მოცემული ინფორმაცია.

© European Union Agency for Asylum, 2025

